

Simon DE SAINT-QUENTIN, *Histoire des Tartares*, publiée par Jean RICHARD. Paris,
Librairie orientaliste Paul Geuthner, 1965.

*(Documents relatifs histoire des Croisades publiés par l'Académie des Inscriptions et Belles-
Lettres.)*

სიმონ დე სენ-კანტენი (XIII ს.) - დომინიკელი ბერი და დიპლომატი, რომელიც ასცელის ლომბარდიელს თან ახლდა ერთ-ერთი ელჩობის დროს, 1245 წელს, პაპი ინოკენტი მეოთხის ინიციატივით, მონღოლთა კარზე დაგეგმილი ვიზიტისას. სიმონ დე სენ-კანტენის ანგარიშის ორიგინალი დაკარგულია, თუმცა მისი დიდი ნაწილი შენარჩუნდა ვინცენტ დე ბოვეს ცნობილ ტექსტში *Speculum Historiale*, რომელშიც შესულია სიმონ დე სენ-კანტენის თხზულებიდან 19 თავი - "ex libello fratris Simonis".

ქართველებისა და სომხების შესახებ

*Les musulmans, les Georgiens, les Arméniens et les autres peuples détestent les Tartares
ce qui sont leurs tributeurs¹.*

მუსლიმებს, ქართველებს, სომხებს და კიდევ სხვა ხალხებს სძულთ ტარტარები², ისინი, ვინც მათი მოხარკეები არიან³.

•

*La haine entre Arméniens et Géorgiens est si grande que le Géorgien dit : « Si l'un
d'entre nous, sur le chemin de l'entrée de l'Église arménienne, doit porter une épine dans la*

¹ გვ.60.

² იგულისხმებიან მონღოლები/თათრები

³ წინიძე, დავით. „სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ (ასცელისის ელჩობა)“, მეტრეველი, როინ (რედ.). ქართული დიპლომატია #11, თბ., 2004, გვ. 480.

jambe, qu'il n'essaie pas d'enlever l'épine et ne se prosterne pas dans ce but, afin que personne ne pense que l'un de nous est chrétien devant l'Église arménienne⁴.»

იმდენად დიდია სიძულვილი სომხებსა და ქართველებს შორის, რომ ქართველი ამბობს: „თუ რომელიმე ჩვენგანს, სომხური ეკლესიის წინ მიმავალს, ფეხში ეკალი შერჭობა, უნდა აიტანოს, არ უნდა შეეცადოს ეკლის ამოღებას და ამ მიზნით არ უნდა დაიხაროს, რათა ვინმეს არ ეგონოს, რომ რომელიმე ჩვენგანი ქრისტიანი თავს ხრის სომხური ეკლესიის წინაშე“.⁵

ქართველების შესახებ

Les habitants de Khworesm ont fui l'ennemi et ont atteint la ville géorgienne de Trifphelis (Tbilissi) à la frontière perse, ou ils ont tué 7000 personnes⁶.

ხორეზმელები გამოექცნენ მტერს და მიაღწიეს ქართულ ქალაქს ტრიფელისს (თბილისი) სპარსეთის საზღვართან, სადაც 7000 ადამიანი მოკლეს⁷.

•

En 1221, les Tartares sont entrés en Géorgie et ont commencé à y faire des invasions. Un grand seigneur géorgien avec son fils et sa femme se sont enfuis dans les montagnes caspiennes pour se sauver, mais sur cette voie, trois puissants Tartares ont été pris en embuscade pour s'emparer du butin...L'un d'eux a remarqué les empreintes de pas du noble géorgien, l'a suivi, l'a capturé avec sa femme et ses enfants et a pris possession de ses biens. Puis comme ils en étaient

⁴ გვ. 61-62.

⁵ წინიძე, დავით. „სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ (ასცელინის ელჩობა)“, მეტრეველი, როინ (რედ.). ქართული დიპლომატია #11, თბ., 2004, გვ. 476.

⁶ გვ. 61.

⁷ წინიძე, დავით. „სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ (ასცელინის ელჩობა)“, მეტრეველი, როინ (რედ.). ქართული დიპლომატია #11, თბ., 2004, გვ. 476.

convenus, il l'amena à ses compagnons. Ils ont commencé à se diviser, l'un a eu cet homme géorgien, le second – son fils, le troisième – des objets en or, etc. et décide de vendre sa femme... En Géorgie, lors du raid sur Tbilissi, 7 personnes ont été enchaînées la tête haute dans 7 hauteurs différentes. Peu de temps avant l'arrivée des Tartares, les habitants de Khorezm ont tué 7000 personnes dans la même ville...Après cela il y eut un grand massacre et une famine sans précédent commença⁸.

1221 წელს ტარტარები საქართველოში შევიდნენ და იქ დარბევები დაიწყეს. ერთი დიდი ქართველი მმართველი ვაჟთან და ცოლთან ერთად კასპიის მთებში გაიქცა, რათა თავი გადაერჩინა, მაგრამ ამ გზაზე სამი ძლიერი ტარტარი დახვდათ ჩასაფრებულნი ნადავლის ხელში ჩაგდების სურვილით... მათგან ერთმა მათგანმა შეამჩნია ქართველი დიდებულის ნაკვალევი, თან გაყვა და ცოლთან და ბავშვებთან ერთად შეიპყრო და მის ქონებასაც დაეპატრონა. შემდეგ, როგორც შეთანხმებულნი იყვნენ, თავის თანამგზავრებთან მიიყვანა. ისინი შეუდგნენ ამ ქონების გაყოფას, ერთს შეხვდა ეს ქართველი კაცი, მეორეს - მისი ვაჟი, მესამეს - ოქროულობა და ა.შ. გადაწყვიტეს მისი ცოლის გაყიდვა... საქართველოში თბილისზე ლაშქრობის დროს 7 ადამიანი ჯაჭვებით დააბეს მალლა აწეული თავებით 7 განსხვავებულ სიმაღლეზე. ტარტარების მოსვლამდე ხორეზმელებმა იმავე ქალაქში დახოცეს 7000 ადამიანი...ამის შემდეგ დიდი ბრძოლა გაიმართა და არნახული შიმშილი დაიწყო⁹.

•

Nos frères, membres de l'ordre missionnaire, qui ont vécu pendant sept ans dans la ville géorgienne de Triphelis, située près de la montagne Caspienne, se sont enquis en détail auprès des Georgiens, des Perses et des Juifs eux-mêmes de cette détention et ils ont tous disaient, même les juifs eux-mêmes, qu'ils n'en savaient rien ; il n'est pas non plus mentionné nulle part dans l'histoire. L'un d'eux dit qu'Alexandre a forcé les personnes dangereuses et impures vivant

⁸ გვ. 56.

⁹ ნინიძე, დავით. „სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ (ასცელინის ელჩობა)“, მეტრეველი, როინ (რედ.). ქართული დიპლომატია #11, თბ., 2004, გვ. 476.

*près des montagnes Caspiennes à vivre au-delà des montagnes, Il y construisit également des portes, encore appelées portes d'Alexandre. Les Tartares en ont détruit l'un d'eux. Rien de tel que d'autres vérités sur le confinement de ces montagnes ne peuvent être trouvées nulle part*¹⁰.

ჩვენი ძმები, მისიონერული ორდენის წევრები, რომლებმაც 7 წელი გაატარეს ქართულ ქალაქ ტრიფელისში, რომელიც კასპიის მთებთან ახლოს მდებარეობს, ამ ჩაკეტვის შესახებ დაწვრილებით ეკითხებოდნენ ქართველებს, სპარსელების და თავად ებრაელებსაც და ყველა მათგანი ამბობდა, და თავად ებრაელებიც, რომ არაფერი იცოდნენ ამის შესახებ; არსად ისტორიაში ამის შესახებ ხსენება არაა. ერთი ცნობის მიხედვით, ალექსანდრემ აიძულა საშიში და უწმინდური ხალხი, რომლებიც კასპიის მთებთან ცხოვრობდნენ, ამ მთების გადაღმა საცხოვრებლად გადაეყვანა, იქვე კარიბჭეებიც ააგო, რომელსაც დღემდე ალექსანდრეს ჭიშკრებს ეძახიან. ტარტარებმა ერთი მათგანი გაანადგურეს. ვერსად მოიძებნება ვერაფერი მსგავსი სხვა სიმართლეს ამ მთების ჩაკეტვის შესახებ¹¹.

•

Ce pays, c'est-à-dire La Géorgie, se trouvait depuis des temps anciens sous la dépendance du Patriarcat d'Antioche, avec l'Arménie et la Cappadoce, c'est-à-dire la Turquie. Il s'avéra qu'à cause de la guerre en Turquie, les Géorgiens ne réussirent pas à arriver chez le Patriarche à Antioche en passant par la Turquie pour lui rendre visite pour renforcer leur foi et pour d'autres affaires. Alors ils délibérèrent et envoyèrent les ambassadeurs à Antioche par la mer de Constantinople, pour demander au Patriarche d'envoyer un catholique, un évêque universel, celui qui allait tenir chez eux la place de Patriarche. Le Patriarche leur envoya une ampoule de chrême et leur recommanda de le préparer de nouveau à la septième année, en

¹⁰ გვ. 56.


¹¹ წინიძე, დავით. „სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ (ასცელინის ელჩობა)“, მეტრეველი, როინ (რედ.). ქართული დიპლომატია #11, თბ., 2004, გვ. 456-486.

ajoutant à ce chrême catholique une nouvelle portion d'huile, en présence de tous les évêques. C'est comme ça qu'ils préparèrent le chrême envoyé d'Antioche et ils le conservent jusqu'à nos jours. Avec le chrême, le Patriarche avait envoyé une lettre à un archevêque où il écrivait que celui qu'ils allaient élire serait muni de droits canoniques de Catholicos. Et c'est comme ça que tout se passa. Les Géorgiens reconnaissants lui offrirent cent cassals¹².

ეს ქვეყანა, ე.ი. საქართველო, ძველთაგანვე ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა სომხეთთან და კაპადოკიასთან, ანუ თურქეთთან, ერთად. მოხდა ისე, რომ თურქეთში ომის გამო ქართველებმა პატრიარქთან ანტიოქიაში გავლით მისვლა ვერ მოახერხეს, რათა იგი მოენახულებინათ კონფირმაციისა და სხვა საქმეების ღვაწლად. მაშინ ითათბირეს და კონსტანტინოპოლის ზღვით ანტიოქიაში ელჩობა გაგზავნეს, რათა მათ ანტიოქიის პატრიარქისთვის კათალიკოსის, საყოველთაო ეპისკოპოსის გაგზავნა ეთხოვათ, ვინც მათთან პატრიარქის ადგილს დაიჭერდა. პატრიარქმა მათ ამჟღავნებით მირონი გაუგზავნა და დაარიგა, რომ მეშვიდე წელს ამ კათოლიკე მირონისთვის ახალი ზეთი დაემატებინათ, ამგვარად დაემზადებინათ და ეს ყველა ეპისკოპოსის თანდასწრებით მოეხდინათ. ანტიოქიიდან გამოგზავნილი მირონი მართლაც ასე დაამზადეს და მას დღემდე ინახავენ. პატრიარქმა მირონთან ერთად ერთ არქიეპისკოპოსს წერილი გაუგზავნა, სადაც ეწერა, რომ ვისაც ისინი აირჩევდნენ, მას კათალიკოსის დამტკიცების კანონიკური უფლება ეძლეოდა. ეს ასეც მოხდა. მაღლიერმა ქართველებმა პატრიარქს 100 კასალია უძღვნეს. ამის შემდეგ, ერთხელ იერუსალიმის პატრიარქი, გაღარიბებული, ანტიოქიის პატრიარქთან თხოვნით მოვიდა, თან თავის სიღარიბეზე წუხდა. მაშინ ანტიოქიის პატრიარქმა იერუსალიმის ეკლესიასა და ძმებს უფლის საფლავიდან ის 100 კასალია მისცა, რაც ადრე მან ქართველებისგან მიიღო. როგორც კი უფლის საფლავისა და ნაწილობრივ იერუსალიმის პატრიარქის არქიდიაკონმა ის 100 კასალია მიიღო, იგი, უფლის

¹² გვ. 57-58.

საფლავიდან საქართველოში გაგზავნილი, მალევე შეიპყრეს თათრებმა და სხვებმა. საქართველოში მაშინ საეპისკოპოსო, ასევე როგორც არქისაეპისკოპოსო, 18 იყო, მაგრამ კათალიკოსმა, როგორც საყოველთაო ეპისკოპოსმა, მორონმცხები თანაეპისკოპოსები გვერდით დაიყენა და მათთან ერთად მირონსა და სხვა სიწმინდეებს ჰყიდდა. ერთი ქალი, რადგან უნაყოფო იყო, ქმარს ფულით გააშორა. მონაზვნები და წინამძღვარნი ქართველებში აშკარად სიმონიას მიმდევრები და მევახშენი არიან. ამგვარად, საქართველოს სალარო ოფიციალურად იყიდებოდა და განსხვისდებოდა¹³.



¹³ ნინიძე, დავით. „სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ (ასცელინის ელჩობა)“, მეტრეველი, როინ (რედ.). ქართული დიპლომატია #11, თბ., 2004, გვ. 477-478.